საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 0 22 0000878549

05/08/2022

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ" და „ლ" ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, ,,სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2022 წლის 04 აგვისტოს N872429 და N874680 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის შესაბამის ვებგვერდზე დროული და ზუსტი განთავსების მიზნით, დაევალოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მიწოდება საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციისათვის (დეპარტამენტი) ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ ვადებში.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ დადგინდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი ნათია ლომთაძე.

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელს ნათია ლომთაძეს, უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნების შესრულება.

4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
მახარაშვილი თამარ

N	ინფორმაციის დასახელება	მიწოდების ვადები
1. საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი		
1.1	ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	შესაბამისი წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში
1.2	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	განახლებიდან (ცვლილებების შეტანიდან) 24 საათში
2. ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)		
2.1	ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებიდან (ცვლილებების შეტანიდან) 24 საათში
2.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში კონკურსის ჩატარების წესებს	განახლებიდან (ცვლილებების შეტანიდან) 24 საათში
2.3	ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
2.4	ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ხელმძღვანელების/მოადგილეების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები. (საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში – მათი ხელმძღვანელებისა და მოადგილეების ვინაობის შესახებ მონაცემები)	განახლებიდან (ცვლილებების შეტანიდან) 24 საათში
2.5	ადმინისტრაციული ორგანოსა და სტრუქტურული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	განახლებიდან (ცვლილებების შეტანიდან) 24 საათში

2.6	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	განახლებიდან (ცვლილებების შეტანიდან) 24 საათში
2.7	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ანგარიშის წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
2.8	ტერიტორიული ორგანოების და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი. ასევე ინფორმაცია ხელმძღანელების შესახებ.	განახლებიდან (ცვლილებების შეტანიდან) 24 საათში
	3. ეკონომიკური დეპარტამენტი	
3.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
3.2	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
3.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
3.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
3.5	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
3.6	ადმინისტრაციული ორგანოს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
3.7	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
3.8	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში

	ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	
3.9	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	შესაბამისი წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში
3.10	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	შესაბამისი წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში
3.11	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	შესაბამისი წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში
3.12	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	შესაბამისი წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში
3.13	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	შესაბამისი წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში
3.14	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	შესაბამისი წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში
3.15	ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	შესაბამისი წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში
3.16	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	შესაბამისი კვარტალის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში
3.17	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ	ძალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში
	4. იურიდიული დეპარტამენტი	
4.1	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებიდან (ცვლილებების შეტანიდან) 24 საათში
	5. სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	
5.1	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ძალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში